პოლიტიკური ცხოვრებისათვის

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რედქტორატის და პროფორგ. ორგანო

რედაქცია: ტფილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1 (უნივერსიტეტის შენობა)

ფასი 20 კაპ.

53 / 953

დღეს ნომერში

— დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების მაღალი ხარისხისათვის (მოწინავე).
— თავი დავაღწიოთ ჩამორჩენას ასპირანტების მომზადების საქმეში.
— კონკურსის პირობები.
— ვიბრძოლოთ კულტურული ყოფაცხოვრებისათვის

№ 10 (17) | 9 ივნისი 1934 წ. | № 10 (17)

დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების მაღალი ხარისხისათვის

პარტიული კომიტეტის დადგენილებას „დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლების ერთთვიურის ჩატარების შესახებ“ ფართოდ გამოეხმაურა ძირეული პარტიულ კომკავშირული ორგანიზაციები და სტუდენტთა მასა.

ამ დადგენილების საფუძველზე გაძლიერდა ბრძოლა ჩამორჩენილ სტუდენტთა დახმარებისა, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და შრომის დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

ერთთვიურის მსვლელობაში აშკარავდება როგოც ჩვენი მიღწევები, ისე ნაკლი.

ერთთვიურის მიმდინარეობა აამჟკარავებს, რომ პარტკომის დადგენილება არა საპატიო გაცდენების სრული ლიკვიდაციის შესახებ თითქმის არც ერთი ფაკულტეტის მიერ არაა შესრულებული.

მაისის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით სტუდენტების მიერ გაცდენილი საათების %-გეგმით გათვალისწინებულის მიმართ უდრიდა:

ეკონომიურ ფაკ-ზე — 1,19%; სამართლის — 0,34%, ისტორ—ლიტ. ფ-ზე 0,07%; საბუნებისმეტყველო ფაკ-ზე 2,06%; ფიზ.-მათ. ფაკ-ზე-2,51%-ს.

როგორც ამ ციფრებიდან ჩანს ვერც ერთმა ფაკულტეტმა გარდა ისტორიულ-ლიტერატურულისა ვერ შეძლო არა საპატიო გაცდენების რამდენიმედ საგრძნობი შემცირება, ზოგიერთ ფაკულტეტზე კი წინა თვესთან შედარებით გაცდენის რაოდენობა კიდეც გაიზარდა. პროფესორ-პედაგ. პერსონალის მიერ საათების არა საპატიო მიზეზით გაცდენის %-უდრის 0,27-ს. პარტიის წევრების ავანგარდული როლი ნათლად მოჩანს შრომის დისციპლინისათვის ბრძოლაში, მაგრამ სამწუხაროდ ლექციებს პარტიის წევრები და კომკავშირელებიც საგრძნობლად აცდენენ (გაცდენის %-მერყეობს სხვადასხვა ფაკ-ზე 0,08-დან 1,81-მდე). ეს მიეწერება პარტ-კომკავშირულ ორგანიზაციების ძირეულ რგოლების სუსტ მუშაობას პარტკომის დადგენილების რეალიზაციის საქმეში.

დასკვნა ერთია: **შრომის დისციპლინისათვის ბრძოლა კვლავ რჩება ჩვენს საბრძოლო ამოცანად. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ამ მიზნით. მწვავედ უნდა დავარტყათ ზარმაცებს და შრომის დასციპლინის დამრღვევთ.**

გაცილებით უკეთესი შედეგი მოგვცა ერთთვიურმა ჩამორჩენილ სტუდენტთა დახმარებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის დამატებით ლექციათ—კონსულტაციების მოწყობის დარგში.

მაისში ჩატარებულ იქნა 137 დამატებითი სალექციო საათი, აღდგენილ იქნა გაცდენილი 22 საათი. მარტის და აპრილის თვესთან ერთად დამატებითი და აღდგენილი სალექციო საათების რაოდენობა უდრის 572-ს. ერთთვიურის განმავლობაში 635 სუსტი სტუდენტი მიმაგრებულ იქნა (რათქმა უნდა სრული ნებაყოფლობის საფუძველზე) ძლიერ სტუდენტებზე.

გარდა ამისა ლექტორთა და სტუდენტთა შეთანხმებით ეწყობოდა დამატებითი კონსულტაციები სტ. საერთო საცხოვრებლებში. ეჭვი არ არის რომ ერთთვიურის განმავლობაში ჩატარებული ინტენსიური მუშაობა შესაფერ შედეგს მოგვცემს მიმდინარე და მომავალ საგამოცდო სესიებზე. ჩვენ შევძლებთ რამდენიმე ასეული სუსტი სტუდენტის აკადემიურ მომზადების დონის ამაღლებას.

მიმდინარე წლის დამთავრებამდე ერთი წუთითაც არ უნდა შეწყდეს ეს მუშაობა. საჭიროა კიდევ მაღლა ავწიოთ პარტიის წევრებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი სწავლების ხარისხისათვის ბრძოლაში.

მიმდინარე სასწავლო წელი უნდა დავამთავროთ მაღალი რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

თავი დავაღწიოთ ჩამორჩენას ასპირანტების მომზადების საქმეში

რედაქციის დასკვნითი სიტყვა

29/XII-62 — 53

ამხანაგებო!

იმ მიზნით, რომ ჩვენ შეგვემოწმებია მდგომარეობა სამეცნიერო ძალების მომზადების საქმეში, იმ მიზნით, რომ გამოგვერკვია, როგორ ხელმძღვანელობენ პროფესორები ასპირანტების მომზადებას, ჩვენ მოვაწყვეთ პროფესორების და ასპირანტების გამოძახება.

სამწუხაროდ მთელ რიგ პროფესორების გამოსვლამ სიტყვებში გვიჩვენა, რომ მდგომარეობა ასპირანტების მომზადების საქმეში ვერ არის სავსებით კარგ დონეზე დაყენებული. რედაქციის დავალება იმის შესახებ, თუ როგორია კონკრეტული ხელმძღვანელობის ფორმები ასპირანტების მომზადების საქმეში, მთელმა რიგმა პროფესორებმა ვერ შეასრულეს. მათი სიტყვები ზოგადია და კონკრეტულად გაუგებარია მაინც როგორ ემზადებიან ასპირანტები მომავალ მეცნიერულ მუშაობისათვის. ავიღოთ თუნდაც **პროფ. კ. მეგრელიძის** გამოსვლა. პროფ. კ. მეგრელიძის სიტყვიდან ჩვენ არ ვიცით თუ ვის ამზადებს ის. **„იმთავითვე შევადგინე ასპირანტის სამოსწავლო სამუშაო გეგმა“-ო** — ამბობს პროფესორი. მაგრამ რა ჩაიწერა ამ გეგმაში? რა შესრულდა ამ გეგმიდან? ამის შესახებ ვერაფერს ვტყობილობთ. ქვევით პროფ. მეგრელიძე ამბობს: **„გეგმის შესასრულებლად ყოველ ექვს დღეში ორჯერ ორ-ორი საათით ვაწარმოებ ასპირანტთან სისტემატიურ მეცადინეობას გარკვეულ ცხრილის მიხედვით“.** რა საკითხებზე? როგორ ითვისებს მას ასპირანტი? ამაზე არც ერთი სიტყვა.

ავიღოთ მეორე პროფესორის ამხ. **კ. ბაქრაძის** გამოსვლა. თქმა არ უნდა, რომ ჩვენ მას ვიცნობთ, როგორც კარგ პროფესორს. მაგრამ რა სთქვა მან ასპირანტების მომზადების შესახებ? თითქმის არაფერი. როგორც პროფ. ბაქრაძის სიტყვიდან ჩანს მასთან მიმაგრებული ასპირანტები შესდგება სუსტებისაგან (**ბალავაძე** და **რუსიაშვილი**) და ძლიერებისაგან. ის არაფერს ამბობს იმაზე თუ რა დახმარება გაუწია სუსტ ასპირანტებს ჩამორჩენილობის გამოსასწორებლად. პირიქით, იყო შემთხვევა, რომ სუსტ ასპირანტებს პროფესორი თემას უწუნებს მხოლოდ სემინარში. სემინარამდე?.. ის თემას არ ეცნობა. ეს არის ხელმძღვანელობა? პროფესორი ვალდებული უნდა იყოს ასპირანტის წარმოდგენილ თემას წინასწარ გაეცნოს. სემინარზე დაშვებული თემა იშვიათად შეიძლება იყოს სუსტი, თუ ის ასპირანტის მიერ მუშავდებოდა პროფესორის უშუალო კონკრეტული ხელმძღვანელობით. თუ ასეთ დახმარებას და ხელმძღვანელობას არ აქვს ადგილი პროფესორის მხრივ ასპირანტზე თემის დამუშავების პროცესში შესაძლებელია თემა აღმოჩნდეს სუსტი, მაგრამ აქ არც ხელმძღვანელობა იქნება.

პროფ. **გ. ჯავახიშვილი** თავის სიტყვაში შეეხო მხოლოდ იმას, თუ რომელი ასპირანტი, რომელ კათედრასთან მუშაობს და საერთოდ უვლის გვერდს მის ხელმძღვანელობას ასპირანტებზე. დასაშვებია ეს? არა, არ არის დასაშვები. მდგომარეობა არც სხვა მხრივ არის პროფ. ჯავახიშვილთან სახარბიელო. ავიღოთ თუნდაც ასეთი შემთხვევა: **ლაბორანტი ს. გამცემლიძე** თითქმის მთელი წელია მუშაობს სტუდენტებთან, ატარებს კონსულტაციებს და პროფესორი ეხლა ამბობს, რომ გამცემლიძე არის სუსტი და კონსულტაციების ჩატარების უფლება მას არ ქონდაო. რედაქცია ამ საკითხების გამორკვევას სხვა გზით აწარმოებს, მაგრამ აქ მოკლეთ ვაცხადებთ, რომ ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია. პროფესორმა არ იცის ასპირანტი რას აკეთებს, ასპირანტი ანგარიშს არ უწევს პროფესორს და არ თხოვს მას ხელმძღვანელობას, ეს ქაოსი არ არის?

ასეთი ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილების ფაქტებს ჩვენ ვხედავთ სხვა პროფესორების სიტყვებიდანაც.

სიტყვას ბევრს არ გავაგრძელებთ. პროფესორების აქ გამოსვლამ სიტყვით, გვიჩვენა ასპირანტების სუსტი მომზადების მიმდინარეობა ზოგიერთი პროფესორის მხრივ. ამ გარემოებას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. დასასრულ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ზოგიერთი პროფესორის გულგრილი დამოკიდებულება ჩვენი გამოძახებისადმი. ისინი განგებ არ გამოვიდენ სიტყვებში. ასეთებია: **პროფ. მოსეშვილი, პროფ. ბერიტაშვილი, დოც. ზანდუკელი** და სხვ. ამ პროფესორებმა ჩვენს გამოძახებაზე ასპირანტებთან მუშაობის გასაცნობად ხელი ჩააქნიეს. ჩვენის აზრით არც ეს ეპატიება პროფესორს თუ ის გულწრფელად ფიქრობს ბოლშევიკურ მეცნიერული კადრის მომზადებას.

ასეთი მდგომარეობა სხვა დროს არ უნდა განმეორდეს.

ყურადღებას არ აქცევენ

საბჭ. აღმშ. და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები თითქმის სრულიად არა ვართ მომარაგებული სათანადო სპეციალური ლიტერატურით. ამის მიზეზი ნაწილობრივ ის იყო, რომ საერთოდ გამომცემლობები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ ამ დარგს. მაგრამ ჩვენ გვინდა დავასახელოთ ნამდვილი აღმაშფოთებელი ფაქტი, რომელსაც ადგილი აქვს ფაკულტეტის სინამდვილეში. თითქმის სასწავლო წლის დასაწყისშივე მზად იყო ქრესტომატია ქართულ ენაზე ისეთ სპეციალურ საგანში, როგორიცაა „სისხლის სამართალი“ დოც. ი. ბოჭორიშვილის ავტორობით. ამ დარგში ქართულ ენაზე ეს წიგნი ერთად ერთია. ის კიდეც შეტანილია პროგრამაში, მაგრამ დანაშაულობრივი დაუდევრობა იქამდის მიდის, რომ წიგნები ხელუხლებლად აწყვია სტამბაში და თავს არავინ იწუხებს, მისი დროზე გამოსატანად. სამოსწავლო წელი მთავრდება და გამოცდებიც იწყება. სტუდენტებმა შევეცადეთ ეს ქრესტომატია გამოგვეტანა სტამბიდან. რამდენიმე ეგზემპლიარი მაინც. მაგრამ არ მოხერხდა. წიგნი გამოცემულია სახელგამის მიერ და გადმოცემულია უნივერსიტეტის განკარგულებაში.

სამნი

საამხანაგო სასამართლო სუსტია

მიმდინარე წლის თებერვალში აღმასბიუროსთან დაარსდა საამხანაგო სასამართლო, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მუშაობა ჯერ-ჯერობით არ არის საკმაო. დღემდის განხილული არის სულ 5 საქმე; მათ შორის უმრავლესობა ხულიგნობის საქმეებია. სასამართლოს მიერ ნაკლებად ექცევა ყურადღება შრომის დისციპლინის დარღვევის კონკრეტულ შემთხვევებისა და შრომის სოც-ფორმებისადმი ფორმალური დამოკიდებულების (ცრუ დამკვრელი, ლექციის გამცდენი და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლას.

ფაკულტეტების სამკუთხედები სასამართლოს ნაკლებად ეხმარებიან. კერძოდ სუსტია პროფკომების დახმარება, უდისციპლინო სტუდენტების სასამართლოზე გადაცემა პროფკომებს ზედმეტად მიაჩნიათ.

გარდა ამისა სასამართლოს მუშაობას ხელს უშლის მუშაკების სიმცირე (ორი მუშაკი). აღმასბიუროს დადგენილებით ყველა ფაკულტეტის პროფკომებს უნდა მიემაგრებიათ თითო წევრი სასამართლოზე, დღემდის ეს შესრულებული არ არის. (ისტ. ლიტერატურული, ფიზ. მათემატიკური, საბუნებისმეტყველო).

საამხანაგო სასამართლოს მუშაობას პარტიულ-კომკავშირულ და პროფორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

გ. ჯოჯიშვილი.

დავეუფლოთ სამხედრო ტექნიკას

გამოვიჩინოთ მაღალი დისციპლინიანობა

და მზადყოფნა სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი „27“ მაისი 1934 წ.

თანახმად ჯ. გ. უ. ს. მ. არსებული დებულებისა ჩ/რ უნივესიტეტის ყველა ის სტუდენტი, რომელიც ცნობილია ვარგისად სამწყობრო სამსახურისათვის, ვალდებულია მომავალ ზაფხულში გავიდეს ორთვიან საბანაკო შეკრებაზე.

კ. წ. დ. არმიისადმი ბრძანებით ეს შეკრება დანიშნულია 15 ივნისიდან 13 აგვისტომდის: ქვეითა ჯარის ჯგუფებისათვის ქართული დივიზიის ბანაკში, ხოლო არტილერიის ჯგუფებისათვის—საარტილერიო ლეგიონის ბანაკში.

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის სამხედრო ხელმძღვანელის განკარგულებით შედგენილ იქნას ქვეითა ჯარის და არტილერიის განაყოფები.

2. ბანაკში გასაყვანი ყველა სტუდენტი ვალდებულია გამოცხადდენ 14 ივნისს დილის 10 საათზე, უნივერსიტეტის სამხედრო ხელმძღვანელის განკარგულებაში, სათანადო მითითებების მისაღებად ბანაკში გამგზავრების წესის შესახებ და წინასწარი მომზადებისათვის.

3. ყოველგვარი კმაყოფას (ჩაცმა—დახურვა, საჭურველი, ჭამა—სმა) სტუდენტები ბანაკში მიიღებენ საბნის, პირსახოცისა და ცხვირსახოცის გარდა ეს უკანასკნელი ნივთები სტუდენტებმა საკუთარი უნდა წაიღონ ბანაკში.

4. ბანაკში გასვლამდის ყველა სტუდენტს გამოუკლებლივ გაუკეთდეს მუცლის ტიფის საწინააღმდეგო ვაქცინიზაცია და ყვავილის აცრა თანახმად ამასთან დართული ინსტრუქციისა.

5. ადმსამნეო ნაწილის პროორექტორს პროფ. სულაქველიძეს ვავალებ სტუდენტების ბანაკში გასვლამდის უზრუნველყოს: 1) ბანაკში მიმავალ სტუდენტებზე ივნისის თვის ხვედრი სტიპენდიების დარიგება 2) სამხედრო მასწავლებლებზე შეკრების პირველი თვის ხვედრის დამატებითი გასამრჯელოს გაცემა, 3) სამნეო მოთხოვნილებათა და ბანაკში ნივთების გადატანისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

6. დარწმუნებული ვარ, რომ ჩ/რ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი გამოცხადდება, დანიშნულ ვადაზე შეკრების გასავლელად 100 პროც. გამოიჩენს მაღალ დისციპლიანობას და მზად ყოფნას სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის.

გამოუცხადებლობა ჩაითვლება თავის არიდებად და დამნაშავე მიცემულ იქნება პასუხისგებაში.

მოვუწოდებ უნივერსიტეტის პარტ-კომკავშირის და პროფ. ორგანიზაციებს ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სამხედრო ხელმძღვანელობას მომავალი საბანაკო შეკრების სანიმუშო მაჩვენებლებით ჩატარების საქმეში.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი.

პროფესორი ლ. ალნიაშვილი

სამხედრო ხელმძღვანელი.

ნ. გედევანიშვილი

რა უნდა ახსოვდეს ბანაკად გამსვლელს

დამთავრდა ზამთრის პერიოდის სამხედრო მზადება და ტ. ს. უ. სტუდენტობა ემზადება ბანაკად გასასვლელად.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მზადება უნივერსიტეტში, შემოღებულია, მხოლოდ ამ სასწავლო წლიდან და იგი სხვა აკადემიურ საგნებთან შედარებით დაგვიანებით დაიწყო, სწავლების შედეგები მაინც მაღალი ხარისხისაა; გამოცდები ჩააბარეს ფრიადზე—23%—მა, კარგზე—43%—მა და დამაკმაყოფილებელზე—31%—მა.

რაც შეეხება მეცადინეობაზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში აქაც შედეგები სრულიად დამაკმაყოფილებელია. დასწრება იყო 91—95%. თუმცა არის ისეთი ჯგუფებიც, სადაც დასწრება არ აღემატებოდა 75—80%—ს (№ 4-ა და № 5 ჯგ. —ეკონომიური ფაკულტეტი), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არის სამაგალითო ჯგუფებიც (№ 2, 3 და 6 ჯგუფები —ეკონომიურ ფაკულტეტებისა და № 76—და 77 ჯგ. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა).

ზამთრის მთელი პერიოდის განმავლობაში სამხედრო დისციპლინა სტუდენტთა შორის შედარებით კარგი იყო, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სტუდენტობის დისციპლინა ბევრად ჩამორჩება იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ამჟამად წითელი არმია უყენებს ყოველ მებრძოლს: გარეგნული შეხედულება სტუდენტისა, მისი მხედრული გამომეტყველება, მოკლე მხედრული ენა და სხვ. ამ დარგში გვჭირდება კიდევ ხანგრძლივი მუშაობა.

ამჟამად ჩვენ უნდა შეუდგეთ სამხედრო მზადებაში ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო პერიოდს, საბანაკო მზადებას.

15 ივნისიდან ტ. ს. უ. სტუდენტობა გავა ბანაკად ბანაკის ხანგრძლივობა ორი თვეა; მისი ამოცანაა თითოეული სტუდენტის უმცროს მეთაურად მომზადება.

ჩვენი უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ბანაკში იგი იქნება წითელ არმიელთა მასის თვალწინ ამიტომ სტუდენტები ყოფაქცევით უნდა იყონ სანიმუშო და მათ უნდა გაამართლონ სახ. უნივერსიტეტის ავტორიტეტი და სახელი. უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები ბანაკში მყოფი სტუდენტები 100%—ით მოვამზადოთ საუკეთესო მსროლელებად და ყველას ჩავაბარებინოთ „შრომისა და თავდაცვის მზად ყოფნის„-ნორმები და გამოცდები უმცროსი მეთაურ[illegible]ა-რისხზე.

ხსენებული მაჩვენებლების შესასრულებლად ფართოდ უნდა გავშალოთ სტუდენტთა ყველა დანაყოფებს შორის სოც—შეჯიბრება და დამკვრელობა, რათა საბანაკო შეკრებისათვის გათვალისწინებული პროგრამა შესწავლილ იქნას 100 პროცენტით.

ნ. გ. გედევანიშვილი.

ორი მასწავლებელი—ორი მაგალითი

(ასპირანტურა)

ასპირანტურის ინსტიტუტის პირველ კურსს გერმანულ ენაში ხელმძღვანელობს დოც. **ერეკლე ტატიშვილი** და რუსულ-ენაში პროფ. **კულიკოვი.** ორივე ხელმძღვანელი ღირსეულად და ნამდვილ კეთილსინდისიერად ემსახურება ასპირანტთა სერიოზულად მომზადების საქმეს.

პროფ. კულიკოვი

ტატიშვილს არა აქვს მთელი წლის განმავლობაში არც ერთი გაცდენა და დაგვიანება, მიცემული აქვს მთელი ჯგუფისათვის დამატებით 35 საათი.

ასეთივე ენერგიული მუშაობის ნიმუშს იძლევა პროფ. **კულიკოვი.** მას ჯგუფისათვის მიცემული აქვს დამატებით 50 საათი, მთელი წლის განმავლობაში **პროფ. კულიკოვს არ აქვს არც ერთი დაგვიანება** ორთავე ხელმძღვანელი დიდ დახმარებას უწევდენ სუსტ ასპირანტებს: დამატებით ატარებდენ მათთან მუშაობას, რის შედეგად მთელი ჯგუფი დიდად დაწინაურდა ენის შეთვისებაში, ამ ენერგიული მუშაობისათვის ორივე ხელმძღვანელებს ასპირანტურის ინსტიტუტის პირველი კურსი უცხადებს მადლობას.

ი. ჩ.

პატარა ფელეტონი

ჩვენმა სტამბამ ყველაფერი სტამბა...

„ჩვენი სტამბა გადავარდა მხოლოდ ბლოკნოტების ბეჭდვის საქმეში და უყურადღებოდ რჩება მთელი რიგი მეცნიერული წიგნების გამოცემა. ამას გაზეთმა ყურადღება უნდა მიაქციოს“.

(ამხ. **ს. მინდაძის** მოხსენებიდან კორესპონდენტთა თათბირზე 16 მაისს).

სტამბა... „უნივერსიტეტს ექნება თავისი სტამბა“ ასე იუწყებოდა გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის“.

— უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტამბა!.. ასე გაიძახოდა დიდი და პატარა... ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ყველგან... სიხარულისაგან აღარ იყვნენ, აღტაცებაში მოდიოდენ... აღსრულდა! აწი რაღა გვიჭირს... გაიხარეთ ყველამ! გიხაროდეთ პროფესორებო და სტუდენტებო! არის! საკუთარი სტამბა გვეღირსა...

პროფესორებო! თქვენი ნაშრომები ყველა დაიბეჭდება და თავის დროზე გამოვა... სტუდენტებო! თქვენთვის სახელმძღვანელოები თავის დროზე მზად იქნება... პროგრამებიც თავის დროზე დაბეჭდილი დაგირიგდებათ და ისწავლეთ და ისწავლეთ... გიხაროდეს გაზ. „ბოლშევიკ. კადრ.“ რედაქტორო! შენ გაზეთს არ დააგვიანდება... არ დაგჭირდება სირბილი სხვა სტამბებში, სტამბა აქვე გვექნება და ბეჭდე და ბეჭდე გაზეთი...

მაგრამ... (ეს ოხერი „მაგრამ“-ი!) არც შრომები გამოიცა მაინც და მაინც, პროფესორები ისევ ჩივიან, რომ თავიანთი ნაწერები არ იბეჭდება. სახელმძღვანელოებიც არსად ჩანს და პროგრამებმაც დაიგვიანა. სტუდენტები ისევ წუწუნებენ სახელმძღვანელოების უქონლობაზე... რედაქტორიც დარბის გაზეთის საქმეზე და ერთმანეთში ასე ირევა მსგავსი ამბები...

— რაშია საქმე, რა მოხდა ამხანაგებო? რას აკეთებს ჩვენი სტამბა, არ მუშაობს?..

— როგორ არა, მუშაობს!..

— თუ მუშაობს სადაა მერე?

— მუშაობს, მაგრამ სხვა რამეზე მუშაობს, ესეც ხომ სამუშაოა?

— მაგალითად რაზე მუშაობს?

— აი რაზე: ამჟამად ბეჭდავს ბლოკნოტების მეთევზმეტე სერიას, რომელშიაც შედიან: 1) „ფუნდამეტალურ ბიბლიოთეკის გამგე;“; 2) „მომარაგების და აღმშენებლობის სექტორი;“ 3) „რექტორის მდივანი“; 4) „საერთო სექტორის გამგე“; 5) „საფინანსო სექტორი“; 6) „კანცელარიის გამგე“; 7) „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ და ა. შ. ამას გარდა იგი ბეჭდავს მთელი რიგს სხვა და სხვაგვარ ჩეკებისას...

—აი ხომ მიხვდით საქმე რაში ყოფილა? სტამბა დატვირთულია. სად ცალია ასეთი საქმეებისათვის. ხომ დაინახეთ რამდენ რამეს აკეთებს იგი... თქვენ კი უკიჟინებთ: „არაფერს აკეთებს, „ეს“ გვაკლია და „ისო“. ამის შემდეგ მაინც არაფერი ცუდი წამოგცდეთ სტამბაზე..

—უკაცრავად!.. ბოდიშს ვიხდით ჩვენ... გვეგონა არაფერს სტამბავდა და იმას კი თურმე ყველაფერი გადაუსტამბავს!..

ა. დევიძე

საწარმოო პრაქტიკის შესახებ

(საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი)

ბუნებისმეტყველ სტუდენტთა ერთი თვის მუშაობა საწარმოო პრაქტიკაზე იძლევა სანიმუშო მაჩვენებლებს. პირველი ექვსდღიურიდანვე ამ მხრივ მუშაობას **გეოლოგიის, მინერალოგიის, ბოტანიკის გეოგრაფის, ქიმიისა და ზოოლოგიის კათედრები საუკეთესოდ ატარებენ.** ამ კათედრების მიერ გამოყოფილი ხელმძღვანელების: დამკვრელი პროფ. **ა. თვალჭრელიძის, დოც. კაჭარავას, ი. კანაძის, ნ. კეცხოველის, ა. ჯანაშვილის და სხვების** ენერგიული ხელმძღვანელობით მუშაობა ტფილისის მიდამოების გასაცნობად მთლიანად დამთავრდა.

დარჩენილი ერთი თვე პრაქტიკის გეგმით საქართველოს დანარჩენი რაიონების შესწავლას უნდა მოხმარდეს. პრაქტიკის სექტორის ხელმძღვანელი ამხ. **ვ. ხირსელი** რატომღაც ფიქრობს უკვე დამტკიცებული გეგმები შეცვალოს (?) და პრაქტიკის ჩატარება შეკვეცოს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სტუდენტი არ აფასებს პრაქტიკის მნიშვნელობას და პრაქტიკის ადგილზე სამუშაოდ არ ცხადდება. ამ მხრივ ყველაზე მეტი გაცდენებია გეოლოგიურ მესამე კურსზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბოტანიკის კათედრამ (ნ. კეცხოველი, სამუშაო ოთახი არ დაუთმო და საჭირო იარაღები არ მიაწოდა გეოლოგების ჯგუფს. ბოტანიკის საგანში პრაქტიკა საქ. მუზეუმის შენობის გამოყენებით ჩატარდა და რომ შემთხვევით საგნის ხელმძღვანელი მუზეუმის თანამშრომელი არ ყოფილიყო, აქ მუშაობა შეფერხდებოდა.

ტ. ჩიჩუა

ახალი ბაღი

(სტუდენტთა ქალაქში)

სტუდენტთა ქალაქის დირექციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალაქის კეთილმოწყობას. კორპუსების ცენტრში, ქარხანა-სამზარეულოს წინ შენდება ბაღი, რომელსაც უჭირავს $^1/_2$ ჰექტარი.

უკვე დაიწყო ბაღში ძვირფასი მცენარეების დარგვა. ბაღის მოსაწყობად შაბათობებში მონაწილეობა აქვს **მიღებული 1200 სტუდენტს. 25 მაისისათვის დარგული იყო სულ 105 ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარე.**

სამუშაო ობიექტების თავის დროზე შესრულებისათვის საჭიროა სტ. ქალაქში მცხოვრებლ სტუდენტობა ჩაებას დიად საქმეში შაბათობების მოწყობის გზით, სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლით.

ბ. მანთიძე.

მაქსიმალურად გამოვიყენოთ ერთთვიურის დარჩენილი დრო

გაცდენების ლიკვიდაციისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის

ვიბრძვით პირველობის შენარჩუნებისათვის

საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ფაკულტეტის № 41 ჯგუფი 1- სემესტრში სათანადო მაჩვენებლებით წარდგა ფაკულტეტის წინაშე, რითაც ჯგუფმა პირველობა მოიპოვა ფაკულტეტის მაშტაბით. რაში გამოიხატება ეს მაჩვენებლები? მინიმუმამდის იქნა დაყვანილი უმიზეზო გაცდენები, ჯგუფში არ დაწერილა არც ერთი სუსტი, 100%-ით სრულდებოდა ყველა მოცემული დავალება. ყველა ამის შედეგად I სემესტრის სასწავლო-საწარმოო გეგმა 99,6%-ით შეასრულა.

II სემესტრში სასწავლო-სასწარმოო გეგმის 100%-ით შესრულებისათვის ჯგუფის შემადგენლობამ იკისრა მთელი რიგი ვალდებულებანი:

სასწავლო წლის დამთავრებისას ჯგუფის საშუალო აკადემიური ნიშანი უნდა უდრიდეს არა ნაკლებს, ვიდრე „4"-ს. ამ მიმართულებით მუშაობა იმ თავითვე გაიშალა. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ჯგუფის მთელი შემადგენლობა 100%-ით, თავი დამკვრელად გამოაცხადა 15 სტუდენტმა (ნაცვლად 10-სა I-კემესტრში), ბუქსირზე აყვანილია 11 სტუდენტი. არიან ძლიერი სტუდენტები, რომლებიც ამეცადინებენ საბუქსირო რგოლებს. **ს. ანთელიძე (პოლიტ-ეკონომია), ბ. ტოროტაძე** (მოძღვრება საბჭოთა სახელმწიფოზე) და სხვ. გვყავს ზარმაცებიც მაგალითად: **ბ. კიკნაძე, ს. მორჩაძე და ცაბოლავა** რომელთაც დღემდის არც ერთი მეცადინეობა არ ჩაუტარებიათ.

ჯგუფი თანმიმდევრობით ანხორციელებს ლოზუნგს: არც ერთი აკადემიური საათის გაცდენა უმიზეზოდ. მაგალითად 12-დან30-მაისამდის უმიზეზოდ არ გაცდენილა არც ერთი საათი. ჯგუფს ჰყავს დეზერტირი სტუდენტებიც: **მაგ. ალ. ლაშხია,** ეს ამხანაგი სისტემატიურად აგვიანებდა და აცდენდა ლექციებს, რის გამოც ის რამდენჯერმე იქნა გაკრული შავ დაფაზე. ხსენებული სტუდენტის გამოსწორებას არაფერი ეშველა. ის ისევ განაგრძობს დისციპლინის უხეშ დარღვევას. მაგ. 29 მაისს პირის მოპარსვისათვის გაიპარა პოლიტეკონომიის ლექციიდან და გააცდინა ერთი აკადემიური საათი და ეს იმ დროს, როდესაც ეს ამხანაგი არც ისე ძლიერია ამ საგანში. ჯგუფს ჰყავს მოწინავე სტუდენტები: **ს. ანთელიძე, ბ. ტოროტაძე, კ. გუმბრიძე, შ. ცინცაძე** და სხვ.

მ. რაჭამაშვილი

5,6 პროცენტის ნაცვლად 1,5 პროცენტი

უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტმა ფართოდ გაშალა მუშაობა სასწავლო აკადემიურ დარგში პარტიული კომიტეტის დადგენილების ბოლშევიკური რეალიზაციისათვის.

შედგენილი იქნა სასწავლო ნაწილის მიერ კალენდარული გეგმა, რომელიც მიმართული არის დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის კიდევ უფრო გაღრმავებისაკენ. ერთთვიურის გამოცხადებამ დიდი შედეგი გამოიღო.

მაგალითად, თუ აპრილში მუშფაკში არა საპატიო გაცდენა5,6%-ს უდრიდა მაისში გაცდენა დაყვანილ იქნა 1,5%-მდის. მუშფაკს ჰყავს დამკვრელი ლექტორები, რომლებმაც სასწავლო გეგმები დროზე შეასრულეს. ასეთებია მაგ: **ხელაძე, მოსეშვილი, გორდაძე, მირიანაშვილი, ცხაკაია, ხალვაში, სულუხია, მგელაძე, რაზმაძე, ჩარკვიანი, და სხვ.**

აღნიშნულმა ლექტორებმა გეგმის შესრულებასთან ერთად ერთთვიურთან დაკავშირებით ჩაატარეს დამატებითი საათები სტუდენტთა აკადემიური მომზადების ამაღლების მიზნით.

ი. გოლძვაძე

ცნობა სტუდენტთა გაცდენებზე.

24/V-30/V-მდის.

№№ რიგზე	ფაკულტეტების დასახელება	გეგმით უნდა წაკითხულიყო	გაცდენილია	%	საპატიო მიზეზით	%	არა საპატიო მიზეზით	%
1	ეკონომიური . , ...	18987.	718.	3,77.	528.	2,77.	190.	1,00.
2	საბჭ. აღ. და სამ. . . .	4417.	222.	5,02.	211.	4,78.	11.	0,24.
3	ისტ. ლიტ.	8977.	325.	3,62.	305.	3,40·	20.	0,22·
4	ფიზ. მათემატ.	9234.	172.	2,75.	42.	0,67.	130.	2,08.
5	საბუნების.მეტყ. . . .	8508.	377.	4,43.	295.	3,48.	82.	0,95·
	ს უ ლ . . .	47123.	1814.	3,80.	1381.	2,81.	433.	0,99.

ცნობა პედ.-პერსონალის გაცდენებზე.

24/V-30/V-მდის

გეგმით უნდა წაკითხულიყო	გაცდენილია	პროც.	საპატიო მიზეზით	პროც·	არა საპატ· მიზეზით	პროც.
2257	16	0,70	8	0,35	8	0,35

ვიბრძოლოთ გამარჯვების მოპოვებისათვის

კონკურსის პირობები

სასწავლო ნაწილი და გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქცია აცხადებს კონკურსს საუკეთესო კათედრაზე, ლაბორატორიაზე, კაბინეტზე და სტუდენტის საუკეთესო სამუშაო ჩანაწერზე.

კონკურსის პირობა დაწესებულია უმაღლესი სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრების მაჩვენებლები და ფაკულტეტების მიერ დამტკიცებული კათედრის ლაბორატორიის კაბინეტის სამუშაო წლიური გეგმები. საუკეთესო კათედრად, ლაბორატორიად, კაბინეტად ჩაითვლებიან ისინი, რომელნიც სრული ასი პროცენტით შეასრულებენ დამტკიცებულ წლიურ გეგმებს და მეორე საკავშირო შეჯიბრების პირობაში გათვალისწინებული მაჩვენებლებს.

დაინიშნოს პრემიები შემდეგი ოდენობით:

საუკეთესო კათედრას—2—პრემია: 1—ლი პრემია 200 მან. რაოდენობით სამეცნიერო მუშაობის გაშლისათვის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ზევით და 1 სამეცნიერო მივლინება 2 თვის ვადით საბჭოთა კავშირის რომელიმე ცენტრალურ ქალაქში. მე—2 პრემია 2000 მან. რაოდენობით დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ზევით.

საუკეთესო ლაბორატორიას-1 პრემია—3000 მან. რააოდენობითდამატებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა ლაბორატორიისათვის მოწყობილობისა და ინსტრუმენტების შესაძენად.

საუკეთესო კაბინეტს—1 პრემია-2000 მან. რაოდენობით დამატებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა—ბიბლიოთეკის შესავსებად სპეციალური ლიტერატურით.

საუკეთესო სამუშაო ჩანაწერის ავტორებს: 5 პრემია 1 კურსზე და 5 პრემია 2 კურსზე. პირველი 4 საუკეთესო კონტექტის ავტორს 150 მან. თითოეულს და ლიტერატურა 10 წიგნის რაოდენობით. დანარჩენი 6 კონსპექტის ავტორებს 100—100 მან. თითოეულს და ლიტერატურა 5 წიგნის რაოდენობით.

დაინიშნოს ორი საკონკურსო კომისია:

1. კათედრების, ლაბორატორიებისა და კაბინეტების საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. ძიგრაშვილი (თავმჯდომარე), ა. ნუცუბიძე (გაზ. „ბოლშ. კადრ.") გ. ჯანელიძე, კ. ანდრიაძე, მამალაძე, ვაჭარაძე.

2. სტუდენტთა საუკეთესო ჩანაწერების საკონკურსო კომისია გ. ჯანელიძე (თავმჯდომარე), ა. ნუცუბიძე, ძიძაძე, ლ. ციხისთავი, კ. კოტბიძე, ლ. გოკიელი, ქ. ტატიშვილი.

კონკურსის საბოლოო შედეგების გამორკვევის ვადად დაინიშნოს 1 ივლისი.

ტ. ს. უ. სასწავლო ნაწილი.
გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქცია.

კონკურსის მაჩვენებლები

ტ. ს. უ. ყველა რგოლი ჩაბმულია უმაღლეს სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებაში; კათედრებს ლაბორატორიებსა და კაბინეტებს შორის გაშლილია სოცშეჯიბრება. ტ. ს. უ. სასწავლო ნაწილისა და გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციის მიერ ცხადდება კონკურსი საუკეთესო კათედრაზე, ლაბორატორიაზე, კაბინეტზე და სტუდენტთა საუკეთესო სამუშაო ჩანაწერზე.

კონკურსის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ II სემესტრის დამთავრებამდის დარჩენილი დრო მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული გეგმის სრული 100%-ით და II საკავშირო შეჯიბრების პირობების ყველა მაჩვენებლების შესრულებისათვის.

თითოეულმა კათედრამ, ლაბორატორიამ, კაბინეტმა უნდა გაშალოს მუშაობა კონკურსში პირველი ადგილის მოპოვებისათვის.

რომელი კათედრა, ლაბორატორია, კაბინეტი ჩაითვლება საუკეთესოდ?

საუკეთესო კათედრად ჩაითვლება, ის კათედრა რომელსაც;

1. სანიმუშოდ აქვს დაყენებული კათედრაზე მეთოდური მუშაობა (კონკრეტულ დისციპლინათა მეთოდიკა და სხვ.)

2. დამუშავებული აქვს სტაბილური პროგრამები ცაკის-ცნობილ დადგენილების საფუძველზე.

3. დამთავრებული აქვს მოსამზადებელი მუშაობა მომავალი სასწავლო წლისათვის.

4. კარგად აქვს დაყენებული: ხელმძღვანელობა ლექტორებზე, სტუდენტთა ცოდნის სისტემატიური აღრიცხვა, ჩამორჩენილ სტუდენტთა დახმარება, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია.

5. დაყენებული აქვს სწავლების კონტროლი კათ. გამგეს ლექციებზე დასწრების და ლექციების გარჩევის გზით.

6. უზრუნველყოფილი აქვს სახელმძღვანელოების დამზადება.

7. ჩაბმული ყავს კათედრის მუშაობაში მასზე მიმაგრებული სტუდენტები.

8. კარგად აქვს ჩატარებული სასესიო გამოცდები.

9. დამზადებული აქვს საწარმოო პრაქტიკის გეგმები და პროგრამები. კათედრა რომელიც სისტემატიურად ხელმძღვანელობს საწარმოო პრაქტიკაზე გასავლელად მივლინებულ სტუდენტებს.

10. კარგათ აქვს დაყენებული ხელმძღვანელობა ასპირანტურაზე და სტუდენტთა სამეცნიერო წრეებზე.

11. სრული 100%-ით აქვს შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, საჯარო მოხსენების ჩატარების გეგმები.

12. ჩატარებული აქვს მასობრივი მუშაობა (პოპულიარული მოხსენებები საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საშეფო ორგანიზაციების დამხმარება, კათედრის სუშაობის გაშუქება პრესაში).

საუკეთესო ლაბორატორიად ჩაითვლებ ის, რომელსაც;

1. ლაბორატორია უზრუნველყოფილი აქვს აუცილებელი ინსტრუმენტებით და მოწყობილობით.

2. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გაშლილი აქვს აქტუალურ თეორიულ საკითხებზე, დაყენებული აქვს დახმარება სამეურნეო ორგანიზაციებისადმი.

3. სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაბმული ყავს ლაბორატორიის ყველა მომუშავე.

4. საუკეთესოდ აქვს დაყენებული სასწავლო მუშაობა.

5. დაყენებული აქვს ლაბორატორიის მიღწევების პოპულიარიზაცია სტუდენტობაში და უნივერსიტეტის გარეშე.

საუკეთესო კაბინეტად ჩაითვლება ის, რომელსაც;

1. საუკეთესოდ აქვს დაყენებული კაბინეტის წიგნებითა და დამხმარე მასალით სარგებლობა როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო საკვლეო მიზნისათვის.

2. გაშლილი აქვს საკონსულტაციო მუშაობა სტუდენტობაში.

საუკეთესო სამუშაო ჩანაწერის მაჩვენებლები

1. საუკეთესო ჩანაწერი შედგენილი უნდა იყოს არა მარტო ლექციის, ან რომელიმე ერთი სახელმძღვანელოს არამედ ლიტერატურა-მაქსიმუმის გამოყენების საფუძველზე.

2. საუკეთესო ჩანაწერი ამჟღავნებს შესწავლილ დისციპლინისადმი სტუდენტის დამოუკიდებელი მიდგომის უნარს.

3. სამუშაო ჩანაწერი ხასიათდება სისრულით, იძლევა დისციპლინის ყველა ძირითად პრობლემის სისტემატიზაციას.

4. ჩანაწერი ამჟღავნებს სტუდენტის სისტემატიურ მუშაობას და წარმოადგენს ხანგრძლივი მუშაობის შედეგს.

5. ჩანაწერში გამოყენებულია მარქსიზმის კლასიკოსების შრომები.

6. მასში მოცემულია ანტიმარქსისტულ თეორიების და მარქსიზმის გამყალბებელთა კრიტიკა.

7. დაწერილია მოკლეთ, მართლწერის დაცვით, სუფთად: სანიმუშო ჩანაწერი წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთ-ერთ წამყვან დისციპლინაში.

ვიბრძოლოთ კულტურული ცხოვრებისათვის

ჩვენ არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი სოციალისტური ყოფაცხოვრებისა და ჩვევების გაძლიერებას სტუდენტობაში. თავისთავად ცხადია, სხვადასხვა ჩამორჩენილ კუთხეებიდან ჩამოსულ ახალგაზრდობას თან ჩამოაქვს ძველი დახავსებული ჩვევები. მათი ახალი ჩვევების მიხედვით გარდაქმნა ჩვენი საბრძოლო ამოცანა უნდა იყოს. პირველ ყოვლისა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაამახვილონ ამ მიმართულებით ყურადღება.

რა მდგომარეობა გვაქვს ამჟამად უნივერსიტეტის ფარგლებში? სამწუხაროდ არა სასურველი. ჩვენ სტუდენტთა შორის ჯერ კიდევ ფართოდ აქვს გადგმული ფეხი **პროფესორისადმი** ან **ლექტორისადმი** ბატონობით მიმართვას. გაბატონებულია მეშჩანიზმი. მთელი რიგი სტუდენტი ქალები წინანდებურად ატარებენ: **სამკაულებს, ბეჭდებს, ყურსაკიდებს, მძივებს და სხვ.** ასეთ სტუდენტ ქალებად შეგვიძლია დავასახელოთ: **ლელი მაჭავარიანი, თამარა ოდილავაძე, ქავთარაძე, ლ. ყაუხჩიშვილი, ევგენია არუთინოვი, თ. კევლიშვილი, შ. გურალია და სხვ.** აღნიშნული სტუდენტი ქალები თავს არ იზოგავენ აგრეთვე მანიკურების კეთებაში. ხშირათ დაინახავთ, რომ ისინი ლექციებზედაც კი „ითითხნებიან“ საღებავებში. რას გავს ეს? ასეთი საქციელი ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია.

ავიღოთ მეორე, სისუფთავის დაცვის საკითხი. აქაც ადგილი აქვს არანორმალურ მდგომარეობას. არიან ისეთი სტუდენტები, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ საცხოვრებელი ოთახის დასუფთავებაზე. მე-8 კორპუსი № 6 ოთახი: **ნადირაძე, ჩიკვაიძე, ჩუბინიძე ვახტანგი და სხვ.** კიდევ მეტი, არიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ თავის თავის სისუფთავეზე. მაგალითად ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ სტუდ. **აკ. ფირცხალაიშვილი** დადის ჭუჭყიანი, ხელპირ დაუბანელი, გაბინძურებული გალსტუკით. სტუდენტებს შორის ხშირად ვხვდებით ისეთ სტუდენტებს, რომლებსაც დილაობით ეჯავრებათ პირის და ხელის დაბანა-კბილების ჩოთქით გახეხვა, ყურების გამოწმენდა და სხვ. განა ერთი და ორია ისეთი შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი სტუდენტები ღამე არ იბანენ ფეხებს და მთელი ღამის განმავლობაში მყრალ ჰაერში სძინავთ? ასეთი შემთხვევა მრავალია და მას ბოლო უნდა მოეღოს.

ჩვენი ამოცანაა ყოველმხრივ ვებრძოლოთ ასეთ უმსგავსო მოვლენებს.

ნ. ბ. ა. შ.

რედაქციისაგან

ვათავსებთ რა წერილს „ვიბრძოლოთ კულტურული ცხოვრებისათვის“, რედაქცია აძლევს მას უდიდეს მნიშვნელობას და ავალებს კორესპონდენტებს მოგვაწოდონ მასალები მსგავსი მახინჯი მოვლენების შესახებ. ამასთან ერთად რედაქცია სთხოვს წერილში დასახელებულ სტუდენტებს: ლ. მაჭავარიანს, თ. ოდილავაძეს, ქავთარაძეს, ლ. ყაუხჩიშვილს, ე. არუთინოვს. თ. კევლიშვილს, შ. გურალიას და სხვ. გამოსთქვან აზრი ამ საკითხზე და წარმოადგინონ ის რედაქციაში წერილობითი სახით.

ბრილიანტა

საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ფაკულტეტის №42 ჯგუფში სწავლობს **ბრილიანტა ჩხარტიშვილი.** ის ცხოვრობს სტუდენტთა ქალაქში და მისი უწესო საქციელით შეწუხებულია მასთან მცხოვრები ამხანაგი ქალები, მოდის ძალიან გვიან, ღამის 1-2 საათზე ერთობა უცხო ვაჟებში, სისტემატურად არღვევს წესრიგს და იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც მან ჯგუფის ჟურნალში ჩაწერილი „არა“ წაშალა. 10 მაისს სრულიად უმიზეზოდ დასტოვა ლექცია. ასეთი საქციელი ჩვენ მიგვაჩნია უმსგავსოებად.

ძ.

ქრონიკა

20 ივნისს იწყება სახელმწიფო უნივერსიტეტში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები.

—მომავალ სასწავლო წლიდან იხსნება ენის და ლიტერატურის ფაკულტეტთან სპეციალური განყოფილება საშუალო სკოლებისათვის უცხო ენებში მაღალ კვალიფიკაციის პედაგოგების მოსამზადებლად. შემდეგი სპეციალობით: ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენის. სწავლების ვადა არის სამი წელი.

წერილი რედაქტორისადმი

ამხანაგო რედაქტორო, გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოთ შემდეგი: გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის“-ში ჩემს მიერ მოთავსებული იყო წერილი სათაურით „**ნამდვილი ლაბორანტი**“, რომელიც ეხებოდა **ამხ. სილ. გამცემლიძეს.** როგორც გამოირკვა ს. გამცემლიძე არა თუ „ნამდვილი ლაბორანტი“ ყოფილა, ის ოდნავადაც ვერ ამართლებს ლაბორანტის სახელწოდებას. აგრეთვე, როგორც ირკვევა, ს. გამცემლიძეს ახასიათებს მეტიჩრობა და ისეთი ვალდებულებების აღება, რომელთა შესრულება მის ცოდნას არ შეეფერება და არც აქვს მას ამის უფლება.

ყველა ეს გარემოება მე ვერ გავითვალისწინე და, დავწერე რა წერილი, დავუშვი შეცდომა ს. გამცემლიძის დახასიათებაში და შეცდომაში შევიყვანე აგრეთვე რედაქციაც.

პატივისცემით **დ. ოჩიგავა.**

კედლის გაზეთები, რომლებიც ოთრს დგანან უნივერსიტეტის პრაქტიკულ ამოცანებიდან

(„დამკვრელი კავალერისტი“, „ლენინის დროშით“ „ჩვენი ხმა“, „პროლეტარული კადრებისათვის“ „დამკვრელი ასპირანტი“ „ფოტო გაზეთი“).

ტფ. სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტისა და გაზ. **„ბოლშევიკური კადრებისათვის“** რედაქციის გამსვლელმა რეიდმა ფაკულტეტებისა და საერთო საცხოვრებლების კედლის გაზეთების მუშაობაში აღმოაჩინა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. შემოწმებიდან გამოირკვა, რომ ყველაზე უფრო კარგად მუშაობს **მსუბუქი კავალერიის** კედლის გაზეთი **„დამკვრელი კავალერისტი“** და ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის კედლის გაზეთი **„ლენინის დროშით“.**

„დამკვრელი კავალერისტი“, როგორც ტექნიკური გაფორმების, ისე შინაარსის მხრივ კარგად არის გაკეთებული. ასევე კარგად გამოდის გაზ. „ლენინის დროშით“-აც. თუმცა ამ გაზეთს მის კარგ შინაარსთან ერთად ემჩნევა ფორმალური მხარით გატაცება (გაზეთის მხოლოდ სურათებით გავსება).

რა შუაშია აქ სიტყვა „**ზრდილობა**“? არქტიკის გმირების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის საქმე არ შეიძლება გადმოიცეს ასე ფულარულად.

გაზეთი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ლექციაზე დასწრება, ლექციის ხარისხი, სოციშეჯიბრება—დამკვრელობის გაზლა, იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლა და სხვა.

სტუდენტთა ქალაქის მე ამე კორპუსის კედლის გაზეთი „პროლეტარული კადრებისათვის“ უშვებს პოლიტიკურ შეცდომას. გაზეთის № 3-ის მეთაურ წერილში წერია.

„**ჭიათურის მარგანეცი, ტყიბულის ქვანახშირი, ჩაი, ციტრუსები და სხვა ნედლეულები საბჭოთა საქართველოს ხდის ერთ-ერთ ნედლეულ ბაზად**“.

ლაპარაკი იმაზე თითქოს, საქართველო მხოლოდ ნედლეულ ბაზას წარმოადგენს, პოლიტიკური შეცდომაა.

გამოდის, რომ ხუთწლიანი გეგმა ორგანულად არ იყო დაკავშირებული ჩვენს შესაძლებლობებთან. საერთოდ მესამე კორპუსში კედლის გაზეთის გამოშვება „ჩვეულებრივად“ „სეზონურ“ ხასიათს ატარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ენის მხრივაც ძალიან ჩამორჩებიან ჩვენი კედლის გაზეთები. ენისა და სტილის დამახინჯების ნიმუშს გვაძლევს კომკავშირის ასპირანტურის უჯრედის კედლის გაზეთი **„დამკვრელი ასპირანტი“.** ამ გაზეთის ერთ-ერთ №-ში წერია:

„**კომკავშირი უნდა დაეხმაროს პარტიას ისე როგორს მოველთვის ამ კამპანიაში უეფუალო ჩაბმით უნდა შეძლოს ხელმძღვანელ ორგანოებში ისეთი კომუნისტების გაყვანისათვის რომლებიც ნამდვილად ბოლშევიკურად იბრძვიან**“ და სხვ.

ისორიულ - ლიტერატურული ფაკულტეტის სამკუთხედის გაზეთშიც



ასპირანტურის კომკავშირის უჯრედის კედლის გაზეთი „დამკვრელი ასპირანტი“

ამ სანიმუშო გაზეთების გვერდით ჩვენ გვაქვს ისეთებიც, რომლებიც ჩამორჩებიან ყოველ მხრივ. ისინი ვერ უპასუხებენ დღევანდელ მომენტის ელემენტარულ მოთხოვნილებას; ცუდია მათი ენა, ტექნიკური გაფორმება, გამოდის გვიან, ახასიათებს კამპანიურობა, არ არის ჩაბმული კორესპონდენტთა ფართო მასა, არ წარმოებს წერილების სათანადო შერჩევა და სხვ.

გაზ. „ჩვენი ხმა“-ს (მუშფაკი) არ ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები. გაზეთში იწერება გრძელი და მოსაწყენი წერილები. გაზეთის სტატიები იწერება სარედაქციო კოლეგიის წევრების მიერ (**ბოლქვაძე, ქორიძე, მოსეშვილი და სხვ.**). გაზეთმა გვერდი აუარა ისეთ საკითხებს, როგორიცაა მე-17 პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მუშაობის გარდაქმნა. გაზათში (№ 3, 4, 5, 6) ხშირად იბეჭდება უმსგავსო ლექსები. მაგალითად, ერთ-ერთ №-ში მოთავსებულია ჭინჭარაულის ლექსი **„არქტიკის გმირებს“**

„**აკვირვებს მთელსა მსოფლიოს**
თქვენი ჩანადენი გმირობა
გილოცავთ გამარჯვებას
გამოიჩინეთ ზრდილობა“

გაზეთის იმავე ნომერში არევ—დარევის ასეთ ფაქტს ვხვდებით:

„**დროის მოკლე ისტორიის განაკვეთმა (მკითხველო, გაარჩიე მონაკვეთი დროს ეხება თუ ისტორიას—ავტ.) განვლო იმ მომენტიდან, როცა კაპიტალიზმმა ეკონომიურ სფეროში იწყო კალაპოტიდან ამოვარდნა, მაგრამ დაცემის წერტილი ვერ აღწევდა განვითარების იმ მრუდეს, როდესაც ცენტრს ეჯახებიან ანუ როგორც ენგელსი გვეუბნებოდა (სად, როდის ?-ავტ.) როცა საწარმოო ძალები იზნიქება მის მიერვე შექმნილ საწარმოო ძალების სიმძიმის ქვეშ**“ აქ ვყელაფერზეა ლაპარაკი და ნამდვილად არაფერზე გარდა სიტყვების უაზრო რახარუხისა. ცოტა ქვემოთ გაზეთი აგრძელებს:

„**ხუთწლიანი გეგმა მოხვდა დანიშნულებას მიზანში ისე, როგორც ყუმბარა და მით დაუმტკიცა კომუნისტურმა პარტიამ (სტილი კედლის გაზეთის რედკოლეგიისაა—ავტ.) საამაყო და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სტალინის ლოზუნგი: „არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ**“.

შეხვდებით უაზრო გამოთქმებს გაზეთის ერთ-ერთ ნომერში წერია:

„**დაზუსტებული პოპულიარიზაცია ქმნილი იქნა პროფილების რაოდენობა. 26-ს დღეს არის 17. დროულად იქნა შედგენილი დრო**“ და სხვ.

აქ, როგორც მკითხველი ხედავს, ლაპარაკია სხვა გაუგებრობასთან ერთად „**დროის დროულად შედგენაზე**“,

სამწუხაროდ, ვერც „ფოტო-გაზეთი“ უპასუხებს უნივერსიტეტის გამლილი მუშაობის კონკრეტულ ამოცანებს. „**ფოტო-გაზეთი**“ უფრო გატაცებულია ყველა ჯურის ადამიანის პორტრეტების მოთავსებით.

მეორე საკავშირო შეჯიბრებაში, უნივერსიტეტის გამარჯვებისათვის ბრძოლაში კედლის გაზეთების მონაწილეობა სუსტია. ყველა ეს დეფექტი დამახასიათებელია თითქმის უნივერსიტეტის ყველა კედლის გაზეთისათვის. საჭიროა ამ დეფექტების დაუყოვნებლივ აღმოფხვრა და კედლის გაზეთების მუშაობის გაუმჯობესება.

რეიდის მონაწილენი: **რ. ოთხმეზური, მ. ჩხენკელი. ვ. მესხია, ვ. ქვარცხავა, ა. ხუნჯუა, ვ. ნუცუბიძე, შ. კალანდაძე, ტ. ჩიჩუა, გრ. ბირკაია.**

ტირაჟი 1500 სახელმწიფო უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია მთავლიტის რმუწნებული № 13